საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის გაზეთი №7 (157) ნოემბერი 2022 წელი

ანა ბაძაღუა

ცხოვრებისეული ფასეულობები

გვ. 2-3

მარიამ კაკალაშვილი

პედრო ალმოდოვარი და ფემინიზმი

გვ. 4-7

ლალუკა იობაშვილი

ფარსი



გვ. 8-10

ილუსტრაციების ავტორი

გიორგი გოგოლაძე

მხატვრული კინოს რეჟისურა I კურსი

თამარ დვალიშვილი

„მანდრაგორას“ ანალიზი

გვ. 10

№ 7 (157) ნოემბერი 2022 წელი

ცხოვრებისეული ფასეულობები

1996 წელს ითან და ჯოელ კოენებმა გადაიღეს ფილმი – „ფარგო“. ფილმი არის კრიმინალური დრამა, რომელშიც ფანტასტიკურად არის შერწყმული იუმორის დეტალები და ნაჩვენებია საკმაოდ მძიმე ამბავი. რეჟისორები დიდ სიმსუბუქეს მატებენ სიუჟეტს, რაც სრულიად საპირისპირო ემოციას იწვევს მაყურებელში. სწორედ ამ ყველაფრის განსამუხტად და გასანეიტრალებლად იყენებენ ძმები კოენები იმ იუმორის დეტალებს რომლებიც, უმძიმეს მომენტშიც კი ახერხებენ მაყურებლის გაღიმებას.

ფილმის მთავარი პერსონაჟები არიან ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ჯერი და ჯინ ლანდეგარდები, რომელთა გარშემოც ვითარდება საკმაოდ მძიმე ამბავი. მათი ერთი შეხედვით მშვიდი და ლაღი ცხოვრება რადიკალურად იცვლება. ქმარი ჯერი ლანდეგარდი საკმაოდ რთულ გადაწყვეტილებას იღებს, მას საკმაოდ დიდი ფული სჭირდება, სწორედ ამის გამო გადაწყვეტს საკუთარი მეუღლის გატაცებას და საკუთარი სიმამრისგან ამ სახით ფულის მიღებას. ის დაიქირავებს ორ გამტაცებელს, რომელთაც დაავალებს ამ საქმის გაკეთებას. იგი ფიქრობს, რომ ყველაფერი ზუსტად ისე წავა, როგორც თავად დაგეგმა, მაგრამ მალევე მიხვდება, რომ ყველაფერი ისე არ არის და ინანებს ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ უკვე რაიმეს შეცვლა ძალიან გვიანაა. იგი ხვდება, რომ უკან დასახევი გზა აღარ აქვს და ვეღარაფერს შეცვლის, იმის ნაცვლად, რომ რაღაც უკეთესობისკენ შეცვალოს, ერთ დანაშაულს კიდევ უამრავს ამატებს. ის ფიქრობდა, თავისი ჩანაფიქრი ყველასათვის უბრალოდ და მისთვის შედეგიანად ჩაივლიდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ამას თავად ფიქრობდა. მეტიც, არაფერი ისე არ მოხდა როგორც ჯერიმ დაგეგმა და ამ, მისი აზრით ყველასათვის უსაფრთხო ჩანაფიქრმა საკმაოდ ცუდად ჩაიარა და არაერთი უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა. ის ბევრჯერ ეცადა სიტუაციის გამოსწორებას, მაგრამ ყველაფერი უფრო უკან წავიდა და კიდევ უფრო მძიმდება მდგომარეობა. თავისდაუნებურად ეს ერთი დანაშაული ჯერი ლანდეგარდს უფრო და უფრო ითრევს ამ ყველაფერში. რა თქმა უნდა ამას კარგად აცნობიერებს თავადაც, მაგრამ ყველანაირი მცდელობის მიუხედავად, ვეღარ ახერხებს ვერაფრის გამოსწორებას და ეს კიდევ უფრო ანადგურებს ფსიქოლოგიურად მას. ფილმის სიუჟეტი საერთო ჯამში საკმაოდ რთულია, თუმცა რაღაც დეტალებს სხვა განწყობა შემოაქვს, რაც, ვფიქრობ, საკმაოდ სასიამოვნოა მაყურებლისთვის.

ფილმი ზამთარშია გადაღებული და ამ ისტორიას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. თოვლს კიდევ უფრო მეტი სიმშვიდე შემოაქვს და იუმორთან ერთად, უფრო მეტად ანეიტრალებს ამ მძიმე ამბავს. რაც შეეხება პერსონაჟებს, პირველ რიგში მინდა ვისაუბრო მთავარ პერსონაჟზე – ჯერი ლანდეგარდზე, რომელსაც ერთი დაშვებული შეცდომის გამო ენგრევა მთელი ცხოვრება.

ჯერი ლანდეგარდი საკმაოდ საინტერესო პერსონაჟია, თავისი ისტორიითაც და თავისი მდგომარეობით, რომლის ცვლილებას მთელი ფილმის ყურების დროს ვაკვირდებით. მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის მეტამორფოზა საოცრად არის გადმოცემული. ერთი შეხედვით, მშვიდი გაწონასწორებული ადამიანია, რომელსაც უყვარს თავისი ოჯახი, თავისი მეუღლე და შვილი, რეალურად ასეც არის, მართლაც უყვარს ისინი, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, ერთი ხელის მოსმით ანადგურებს ყველაფერს. ეს პერსონაჟი ბევრ სხვადასხვანაირ ემოციას იწვევს მაყურებელში, გაღიზიანებას, ბრაზს და ამავე დროს სიბრალულს. მისი გადაწყვეტილება უდავოდ აბსურდულია და არანაირი გამართლება არ აქვს, თუმცა თითქოს რაღაც მომენტში მისი ნაბიჯი გამართლებულია. ჯერიმ უდიდესი შეცდომა აბსოლუტურად გააზრებულად დაუშვა, თუმცა საპირისპიროს მეტყველებენ მისი თვალები, ემოციები – თავს დამნაშავედ გრძნობს ჩადენილის გამო. თავდაპირველად ვხედავთ მის მიამიტურ ქცევას, ის რეალურად ვერ აღიქვამს ამ ამბის სიმძაფრეს, სანამ ფაქტის წინაშე არ დადგება – ყველაზე ძვირფასი, ოჯახი გაცვალა ფულში. ამ ყველაფრის შემდეგ უკვე ჯერი ლანდეგარდი იაზრებს თავის დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ ამის მიუხედავად, ის ვეღარ ახერხებს თავის დაღწევას, პირიქით, კიდევ უფრო ღრმად იძირება ჭაობში. მისი ემოციური მდგომარეობა ძალიან კარგად არის გად-

➢ 3 გვ.

◄ 2 გვ.

მოცემული. მოვლენების ასე ცუდად განვითარებასთან ერთად და ვხვდებით, რომ მისი ჩანაფიქრი ძალიან შორსაა რეალობისგან. ჯინ ლანდეგარდის პერსონაჟი საკმაოდ მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, ის გაწონასწორებული, ოჯახზე უზომოდ შეყვარებული და მოსიყვარულე ადამიანია, რომელსაც არც კი წარმოუდგენია, რომ ასეთ სიტუაციაში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო, მითუმეტეს თავისი საყვარელი მეუღლის გამო. თუ დავაკვირდებით, ბოლო წამამდე ჩანს, რომ ის არც კი ფიქრობს, რომ ამაში შესაძლოა მისი მეუღლის ხელი ერიოს. ცოლ-ქმრის ურთიერთობიდან ჩანს მათი დამოკიდებულება. ერთი შეხედვით იდეალური ურთიერთობა კიდევ უფრო ამძაფრებს ჯერის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას. მათი იდეალური თანაცხოვრება თავიანთ შვილთან ერთად იმდენად ჰარმონიული ჩანს, რომ კიდევ უფრო მეტად რთული ხდება მისი გადაწყვეტილების გაგება და მიღება. არ შეიძლება, როდესაც პერსონაჟებზე ვსაუბრობთ, არ აღვნიშნოთ გამტაცებლები, რომელთა ქცევები და ვიზუალი საოცრად გადმოსცეს მათ შინაგან სამყაროს. ერთი შედარებით აქტიური, ენერგიული ადამიანია, რომელიც თითქოს დარწმუნებულია საკუთარ თავში, ზუსტად იცის თავისი საქმე, თუმცა, როგორც თავად ჯერი ლანდეგარდი, ისიც ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს. ამას კიდევ ემატება მეორე, ერთი შეხედვით ბევრად მშვიდი, გაწონასწორებული გამტაცებელი. თითქოს უემოციო და ბევრად უფრო საშიში ვიზუალით, რომელიც საფრთხის შეგრძნებას ამძაფრებს და სწორედ ამ ადამიანების შეცდომების გამო ხდება ის, რაც ხდება. ჯერი ლანდეგარდის გონებაში წარმოდგენილი და დაგეგმილი ამბავი, რომელიც აბსოლუტურად უმსხვერპლოდ უნდა დამთავრებულიყო და თავად მოგებული უნდა დარჩენილიყო, რეალურად უამრავ, უდანაშაულო ადამიანს იმსხვერპლებს. საინტერესო პერსონაჟია ასევე ჯინ ლანდეგარდის მამა, ის საკმაოდ წარმატებული მამაკაცია, მდიდარი და თავის შესაძლებლობებში ბოლომდე დარწმუნებული, თავის შვილზე უზომოდ შეყვარებული. თუმცა, ამის მიუხედავად, თავისი სიძით არცთუ ისე აღფრთოვანებულია, რაღაც მხრივ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი ჯერი ლანდეგარდის ამ გადაწყვეტილებამდე მისვლის. ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი პერსონაჟია პოლიციელი ქალი და მისი მხატვარი მეუღლე, ნორმ და მარჯი გუნდერსონები, რომელთა ურთიერთობა და ჰარმონია, მათ ოჯახში რომ სუფევს, მძაფრად გამოკვეთილად ჩანს ამ მძიმე ამბის ფონზე. მათი უანგარო სიყვარული, პატივისცემა და ერთმანეთისადმი უზომო მხარდაჭერა გამოკვეთილად იგრძნობა და ორივეს მიმართ უზომო სიმპათია ჩნდება. ერთმანეთზე უსაზღვროდ შეყვარებული წყვილი, თავ-თავიანთი პროფესიებით და ერთმანეთის უდიდესი გულშემატკივრები. მათი ერთი დანახვისთანავე ვხვდებით, რომ ისინი მზად არიან ერთმანეთის ნებისმიერ გადაწყვეტილებას დაუჭირონ მხარი, ეს ყველაფერი მაშინ ჩანს სწორედ, როცა ნორმი თავის პროფესიაში მიღებული წარმატებით ბოლომდე კმაყოფილი არ არის, მაგრამ მარჯი მას დაუღალავად ამხნევებს და არწმუნებს, რომ პროფესიონალია თავის საქმეში. ვფიქრობ, გარდა იმისა, რომ მარჯი საკმაოდ მნიშვნელოვანი პერსონაჟია, საბოლოო ჯამში ის ახერხებს სწორედ ამ საქმის გამოძიებას. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ მას და მის მეუღლეს ფილმში შემოაქვთ ფერადი სხივი, იუმორთან და კიდევ სხვა დეტალებთან ერთად, რომელიც ამ მძიმე ისტორიას აფერადებს.

როგორც აღვნიშნე, ფილმში დიდი როლი უჭირავს იუმორს, რომელიც სწორედ იმ მძიმე სიტუაციას, რაც ფილმში ხდება, შესანიშნავად მუხტავს და ახერხებს საკმაოდ დაძაბულ მომენტში მაყურებლის გაღიმებას. ერთ-ერთი ასეთი სცენაა, საიდანაც რეალურად იწყება მნიშვნელოვანი ამბავი, როდესაც გამტაცებლები სახლის მინებს დაამტვრევენ და ახალგაზრდა ქალს სახლში შეუვარდებიან, ეს ყველაფერი რეალურად საკმაოდ საშიშად ჟღერს და სინამდვილეში ასეც არის. თუმცა ძმები კოენები იმდენად კარგად ახერხებენ ამ ყველაფერთან იუმორის შერწყმას, რომ სიტუაცია იმ წამსვე განიმუხტება. მაგალითად, ქალის რეაქცია მათ დანახვაზე, ის შიშისგან იწყებს კივილს და გარბის ოთახიდან, ეს ყველაფერი ერთი შეხედვით ძალიან უსიამოვნოდ ჟღერს და რთული წარმოსადგენია, რომ რეჟისორები ახერხებენ ამ დროს მაყურებლის გაღიმებას. ეს ყველაფერი ამ სიმძიმესთან ერთად იმდენად შავი იუმორით არის გაკეთებული, რომ აღვიქვამთ სიტუაციის სირთულეს, იმას, თუ რა შეძლება ამ დროს ადამიანს დაემართოს, მაგრამ ეს სცენა მაინც გვგვრის ღიმილს სახეზე. ასეთი სცენა ბევრია ფილმში, მაგალითად, როდესაც თვალებახვეული ქალი გაქცევას ცდილობს გამტაცებლებისგან, ეს სცენა, გარდა იმისა, რომ ისედაც იუმორით არის ნაჩვენები, ამას კიდევ ემატება გამტაცებლის სიცილი, რაც კიდევ უფრო ამხიარულებს სცენას.

„ფარგოს“ სცენები ასოციაციურად ჰიჩკოკის ფილმ „ფსიქოს“ მოგვაგონებს. მაგალითად, სწორედ იმ დროს, როცა ბანდიტებისგან თავის დაცვას ცდილობს ჯინი და აბაზანაში ფარდას ამოეფარება, გამტაცებლის დანახვაზე უეცრად ჩამოხევს ფარდას და შეშინებული გაქცევას ცდილობს. ამ სცენის ნახვისას შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ცნობილი სცენა „ფსიქოდან“.

„ფარგო“ არის ფილმი, რომელიც ბევრ ემოციას იწვევს ადამიანში ერთდროულად და სწორედ ეს მრავალფეროვანი ემოცია ხდის კიდევ უფრო საინტერესოს. მინდა გამოვყო ერთ-ერთი განსაკუთრებული სცენა, სადაც ორსული მარჯი თავისი უშიშრობით და საქმისადმი საოცარი სიყვარულით, დააკავებს ერთ-ერთ გამტაცებელს და მაშინ როდესაც აბსოლუტურად შესაძლებელია, რომ მას ეშინოდეს ამ ადამიანთან ერთად მანქანაში ჯდომისა, ის საოცარი სიმამაცითა და სიმშვიდით აგრძელებს საჭის მართვას და საოცარ სიტყვებს ეუბნება მას: „იატაკზე ქალბატონი ლანდეგარდი ეგდო, ხის მხერხავში კი თქვენი თანამზრახველი იყო, კიდევ სამი ადამიანი, რისთვის? ფულის გამო! ცხოვრებაში ფულის გარდა ბევრი სხვა რამ არსებობს! ვერ ხვდებით არა? ახლა კი აქ ზიხართ, ამ მშვენიერ დღეს“. სწორედ ეს სიტყვები ამობობს ფილმის მთავარ სათქმელს.

ანა ბაძაღუა
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
სახელოვნებო მეცნიერებების,
მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი
კინომცოდნეობის IV კურსი

დუბული

პედრო ალმოდოვარი და ფემინიზმი

ესპანელი რეჟისორის, პედრო ალმოდოვარის „რით დავიმსახურე ეს?!“ (1984) მისი ერთ-ერთი ადრეული ფილმია, რომელმაც როგორც საზოგადოების დიდი მოწონება, ისე კრიტიკა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. როგორც ცნობილია, პედრო ალმოდოვარი ქმნის კინოს ქალებისათვის და ის თავის ფილმოგრაფიას ერთგვარად „ქალთა კინოს“ უწოდებს. „რით დავიმსახურე ეს?!“ გამოსვლისთანავე ჩაითვალა პედრო ალმოდოვარის ყველაზე ფემინისტურ ფილმად, სადაც ავტორი ეწინააღმდეგებოდა ქალებსა და კაცებს შორის დაწესებულ როლებს, ექომაგებოდა ძალადობის მსხვერპლ ცოლებს, დედებსა და ზოგადად ყველა ესპანელ ქალს.

ფილმის უმთავრესი ნაწილია მისი ისტორიული კონტექსტი, რომლის გარეშეც ვერ მოხდება ფილმის სრული აღქმა. მოქმედება მადრიდის გარეუბანში მიმდინარეობს, პოსტ - ფრანკო ესპანეთში, რა დროსაც ქვეყანას ჯერ კიდევ არ დაუბრუნებია ჯანსაღი სახე. ფილმის მთავარი პერსონაჟი ქალია - გლორია, რომლის როლსაც კარმენ მაურა თამაშობს. მას ორი ვაჟი ჰყავს - უფროსი არის ნარკოტიკების დილერი, ხოლო უმცროსი აშკარად ჰომოსექსუალი. გლორიას ასევე კისერზე აწევს მისი ტაქსისტი ქმარი ანტონიო და მისი ძუნწი დედა. ოჯახის წევრები ცხოვრობენ პატარა სახლში ძალიან მცირე შემოსავლით. გლორია დამლაგებელია და არაფერს თაკილობს ოჯახისა და თავისი შვილების შესანახად. ამის მიუხედავად ფილმში ძალიან ბევრი მონაკვეთია იმისა, თუ როგორ სამარცხვინო საქმედ აღიქვამს ანტონიო მის დამლაგებლობას და გლორიას ხშირად უსირცხვილოს უწოდებს. ტაქსისტი ანტონიო თავის იმიჯზე ზრუნავს, რომელიც მისი ცოლის დამლაგებლობით ილახება.

პედრო ალმოდოვარი ფილმში „რით დავიმსახურე ეს?!“ იყენებს როგორც ნეო - რეალიზმის სტილს, ისე კემპის სტილს. ამ ორი სტილის ნაზავი ერთგვარად პედრო ალმოდოვარის მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მის თითქმის ყველა ფილმში გვხვდება. ნეორეალიზმის ნიშნებად შეგვიძლია აღვიქვათ არაპროფესიონალი მსახიობები, რომლებიც ხშირად ჩნდებიან ალმოდოვარის ფილმებში და ახერხებენ ოსტატურად გადმოსცენ იმ დროინდელი ევროპელი ადამიანის - კაცისა თუ ქალის, სახასიათო სახე. კონკრეტულ ფილმში კარგად ჩანს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა პოსტ - ფრანკო ესპანეთში. კემპის მახასიათებლად შესაძლებელია ჩაითვალოს მეძავებისა და ტრანსგენდერების რეპრეზენტაცია, პერსონაჟი ტელეკინეტიკური შესაძლებლობებით, ეროტიკული სცენები, რომლებიც დაცლილია ემოციებისაგან და მხოლოდ სექსუალობაა დარჩენილი. (Cleto, 1999) ყოველი პერსონაჟი ერთდროულად ასახავს სახასიათო ადამიანებისა და განზოგადებული ტიპაჟების სახეებს. იქიდან გამომდინარე, რომ ფილმის უმთავრეს ნაწილად ფემინისტური მისწრაფებები და იდეოლოგიაა მიჩნეული, მიზანშეწონილი იქნება ყოველი პერსონაჟი განზოგადებული სახით იქნეს განხილული, რითაც ფილმის ავტორისეული ფემინისტური ნიუანსები კარგად გამოჩნდება.

როგორც უკვე აღვნიშნე, ნახსენები „რით დავიმსახურე ეს?!“ (1984) პედრო ალმოდოვარის ყველაზე ფემინისტური ფილმია, თუმცა დროთა განმავლობაში ამ განაცხადმა დიდი კრიტიკა დაიმსახურა და წამოიწია იდეები, რომ ფილმი სულაც არ ისახავს მიზნად ქალების დაცვას და ფემინიზმის კიდევ ერთი ტალღისათვის ბიძგის მიცემას, არამედ ეს მხოლოდ ავტორის მცდელობაა - იმდროინდელი ესპანეთის რეალობა კემპის სტილით გადმოსცეს. ზოგადი თვალსაზრისით, არასწორია რომელიმე ხელოვნების ნიმუშს მიენიჭოს ფემინისტური/ანტიფემინისტური იარლიყი, რომელიც დღევანდელ საზოგადოებაში აკნინებს ან/და მეტ ღირებულებას სძენს ფილმს. ამის მიუხედავად, ეს კონკრეტული ფილმი „რით დავიმსახურე ეს?!“, უნდა იყოს განხილული ფემინისტური კუთხით, რადგანაც სწორედ რეჟისორმა განაცხადა, რომ ეს ფილმი ეძღვნება ქალებს (როგორც მისი ფილმების უმეტესობა) და ერთგვარი მხარდაჭერაა იმ მძიმე მდგომარეობისა და გაღიზიანებისათვის, რაც ქალებში დამკვიდრდა პოსტ-ფრანკო ესპანეთში. (Bloom, 2016) ფილმში რამდენიმე მკაფიო მომენტი იძლევა მინიშნებას ფილმის პრო - ფემინისტურობაზე. პირველ რიგში მთლიანი ფილმის განმავლობაში კაცები სრულიად დაკნინებულ მდგომარეობაში არიან. რეჟისორი დასაწყისშივე გვაჩვენებს იმპოტენტ კაცებს, მისი კლასიკური დეფინიციით, რომლებიც უმნიშვნელო პერსონაჟები არიან, და კაცებს ცხოვრებისეული იმპოტენტობით(აც), რომლითაც გლორიას ქმარი - ანტონიო გამოირჩევა. ვინაიდან პედრო ალმოდოვარს ძალიან ბევრ ინტერვიუსა თუ გადაცემაში აქვს ნათქვამი, რომ მისთვის ქალები ბევრად საინტერესო პერსონაჟები არიან, ვიდრე კაცები, მათი ამგვარი რეპრეზენტაცია სულაც არაა გასაკვირი. ვფიქრობ, ვერავინ გაიხსენებს ალმოდოვარის ფილმს, სადაც მამაკაცის მასკულინური

➢ 5 ვვ.

4 გვ.

პერსონაჟი დადებითადაა წარმოდგენილი ან მთავარ როლს თამაშობს. მეორე უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, ცხადია, თავად ქალების რეპრეზენტაციაა, რომლებიც წარმოდგენილები არიან დადებითად, ზრუნავენ თავიანთ ქმრებზე, შვილებზე, დედამთილებზე და ზოგადად ყველაზე. პედრო ალმოდოვარი ქალების ყველაზე დიდ ღირსებად „თავის გასულელების ნაკლებ შიშს“ ასახელებს და სწორედ ეს მახასიათებელია გლორიაში გამოკვეთილი. (Bloom, 2016) ქალი, როგორც დედა, ცოლი და ზოგადად ადამიანი ყოვლისშემძლე პერსონაჟად გვევლინება, რომელიც ნეო - რეალისტურ სამყაროშიც კი იბრძვის გადარჩენისათვის. აღსანიშნავია, რომ ყველა ქალი პერსონაჟი, კაცი პერსონაჟებისაგან განსხვავებით, დადებითად არაა წარმოდგენილი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პედრო ალმოდოვარის მოსაზრებას, რომ ქალ პერსონაჟში ძალიან ბევრი ხასიათი ჩნდება და მათი გამოკვეთაა შესაძლებელი. განხილული მახასიათებლებიდან გამომდინარე, თითქოს ნათელია, რომ ფილმი ფემინისტურ დისკურსს მიყვება, თუმცა აზრთა სხვადასხვაობას ფილმის ფინალი იწვევს, რომელიც შემდეგნაირია: გლორიას ქმარი მკვდარია და ანტონიოს ძუნწი და გლორიას მიმართ უარყოფითად განწყობილი დედა სოფელშია. ბოლო სცენაში გლორიას გაშვილებული უმცროსი ვაჟი ბრუნდება სახლში. მაყურებელმა ეს მიიღო ისე, თითქოს რეჟისორმა მაინც დაუბრუნა გლორიას „კაცი“, რომელიც სახლს გაუძღვებოდა. ამ მომენტამდე რეჟისორი დაუღალავად ამტკიცებს გლორიას სიძლიერეს, ბოლოს კი სიუჟეტში მაინც ბრუნდება კაცი. ფინალმა მაყურებლებისათვის ფილმი ანტიფემინისტურად წარმოადგინა, ხოლო რეჟისორის მიმართ გაჩნდა კითხვა - არის თუ არა პედრო ალმოდოვარი ისეთი ფემინისტი, როგორადაც მას თავი მოაქვს? ვფიქრობ, ეს შეკითხვა მეტ-ნაკლებად აბსურდულია, თუმცა ფილმის ფინალი სრულიად სწორადაა ინტერპრეტირებული. ავტორი ნამდვილად აბრუნებს კაცს ოჯახში, კაცს, რომელიც მას გაუძღვება, თუმცა ეს სულაც არ არის ბედნიერ დასასრულად გამოყვანილი. ეს არ არის ავტორის მცდელობა, რომ დააკნინოს გლორია და მისი ძალისხმევა, არამედ ეს არის ნეო-რეალისტური შტრიხი - პედრო ალმოდოვარი მაყურებელს აჩვენებს ღრმად ჩაბეჭდილ სტერეოტიპებს, რომლებისგანაც დიდხანს ვერ განთავისუფლდება ესპანეთი.

პედრო ალმოდოვარის „ფემინისტური ფილმოგრაფიის“ კიდევ ერთი წარმომადგენელია „ქალები ნერვული შეტევის პირას“ (1988), სადაც კარმენ მაურა გლორიასაგან სრულიად განსხვავებულ როლს ასრულებს. ამჯერად მისი პერსონაჟი პეპა გლორიასაგან განსხვავდება სოციალური სტატუსით, გარეგნობით, ხასიათით და მისი მიზნით ფილმში. თუკი გლორიას უმთავრესი მიზანია თავიდან მოიშოროს თავისი პარაზიტი ქმარი, პეპა პირიქით - მისდევს მამაკაცს, რომელსაც ის არ სურს. პედრო ალმოდოვარი ახერხებს პლატონური სიყვარულისა და ქალებში მასობრივად გავრცელებული ნერვული შეტევის კომიკურ ჭრილში ჩვენებას.

ფილმის მთავარი პერსონაჟი პეპა ერთ-ერთი ქალია ნერვული შეტევის პირას, თუმცა სცენარი ძირითადად მას მიჰყვება. პირველივე სცენაში ნათელია ფილმის სავარაუდო გაგრძელება - პეპას საყვარელი - ივანი მიდის მოგზაურობაში და პეპას ტოვებს. ქალი განადგურებულია ივანის ამ საქციელით, მან იცის, რომ ეს მოგზაურობა ივანისათვის გაქცევაა სხვა ქალთან ერთად. პეპას თავისი საყვარლისაგან დატოვებული აქვს მხოლოდ ხმოვანი შეტყობინება, რომელიც ერთგვარი მინიშნებაა პეპასა და ივანს შორის კომუნიკაციის ნაკლებობაზე.

6 გვ.

5 გვ.

პედრო ალმოდოვარის პერსონაჟებს ახასიათებთ განსაცვიფრებელი თავდადება და მიზანსწრაფულობა, ამის მიუხედავად ისინი ამ ძალებს დებენ სრულიად გაურკვეველ, უმნიშვნელო და უიმედო საქმეებში. სწორედ ამის ერთ - ერთი მაგალითია პეპა და მისი დევნა თავისი საყვარლის დასაბრუნებლად. სიუჟეტის მსვლელობისას მაყურებელში ჩნდება შეგრძნება, რომ პეპას აკვიატებულად სურს მიზანს მიაღწიოს. ის მრავალჯერ ეცდება დაივიწყოს ივანი, მისი ყველა მოგონება ამოშალოს გონებიდან, გაყიდოს ის სახლიც კი, სადაც მათ ტკბილი დღეები გაატარეს და ა.შ. ამის მიუხედავად, ობსესიური ფიქრები სწორედ ნერვული შეტევის პირას მიიყვანს. როგორც სათაურიდან ჩანს, ეს არ არის ერთი ქალის ისტორია, არამედ ქალების ისტორია, თუმცა ცხადია, რომ პეპა ერთადერთი

ქალია, რომელიც ბოლომდე არ დანებდება ნერვულ შეტევას. ფილმის ბოლოში ის აცნობიერებს, როგორი სულელურია გაეკიდო ისეთ სიყვარულს, რომელსაც გაგრძელება არასდროს ექნება.

პედრო ალმოდოვარი ამ ფილმშიც აგრძელებს კაცების დაკნინების ტენდენციას და ივანი ერთგანზომილებიან პერსონაჟად შემოჰყავს. სიუჟეტის განმავლობაში მას მხოლოდ პეპას თვალით ვხედავთ და ბოლო სცენაში ჩანს, როგორი უმნიშვნელოა რეალურად ივანი - უგრძნობი, ცარიელი თავით და გლორიას ქმარივით ქმედითად იმპოტენტი. აქ კარგი კონტრასტი ჩანს ქალისა და კაცის ემოციების შორის - პეპას გაზვიადებული, ისტერიული გრძნობები და ივანის არარსებული ემოციები. პედრო ალმოდოვარი ფილმით „ქალები ნერვული შეტევის პირას“, ცდილობს შეეწინააღმდეგოს იმ მორალს, რომელიც ქალებს უკრძალავს გამოხატონ ყოველი ემოცია, რასაც ისინი გრძნობენ. ამის კარგი მაგალითია პეპა, რომელიც წმინდად საკუთარი ემოციებით მოძრაობს, მისი ყოველი მოქმედება და გადაწყვეტილებები განსაზღვრულია სენტიმენტებით და არა რაციონალური გრძნობებით. აქ კიდევ ერთხელ ჩანს ქალების თავის გასულელების ნაკლები შიში, რითაც ეს პერსონაჟები რეალურ ადამიანებს განასახიერებენ და მაყურებლებში იწვევენ არა უკონტროლო გრძნობებს, არამედ კათარსისს. ფილმში „ქალები ნერვული შეტევის პირას“ იკარგება სიყვარულის იდეალები, პლატონური სიყვარულის იდეალები და პერსონაჟები (ამ შემთხვევაში პეპა და ივანი) დგებიან მწარე რეალობის წინაშე. ადამიანის გონებაში დაბადებული იდეალი რეალობაში რამდენიმე წამში კვდება. იმ მაყურებლებისათვის, რომლებმაც მკაცრად გააკრიტიკეს ფილმის „რით დავიმსახურე ეს?!“. ფინალი, ამ შემთხვევაში სრულიად კმაყოფილები დარჩებოდნენ, რადგანაც პედრო ალმოდოვარმა „წმინდად ფემინისტურად“ დაასრულა ფილმი და გააბათილა იდეალური საყვარლის იდეალი, პეპა კი საბოლოოდ გამოერკვა საკუთარი ბურუსით მოცული გრძნობებიდან.

მორიგი ფემინისტური ფილმი ალმოდოვარის შემოქმედებაში გამოდის 1991 წელს. „მაღალი ქუსლები“ (1991) შეიძლება აღვიქვათ როგორც ფემინურობის ზეიმი, რასაც სათაურიდანვე ხაზს უსვამს ალმოდოვარი. ეს ფილმი მის პოსტმოდერნისტულ ფილმადაა ქცეული, სადაც რეალურ სამყაროში ირევა დროები, პერსონაჟები და მაყურებელიც გმირებთან ერთად მანიპულაციის მსხვერპლი ხდება. ალმოდოვარი თავის ყოველ ფილმში ცდილობს სარკისებურად აღწეროს ის, რაც თავად რეჟისორის გარშემო ხდება - იქნება ეს პოსტ - ფრანკო ესპანეთის მდგომარეობა, ქალების გაღიზიანება, დანგრეული ურთიერთობები თუ ზოგადი ყოველდღიურობა. სწორედ სარკისებურად ატრიალებს ალმოდოვარი დედასა და შვილის გაუცხოებას, უსიყვარულო ქორწინებებსა და მისი ობიექტისათვის ჩვეულ ტრანსგენდერ პერსონაჟებს ფილმში „მაღალი ქუსლები“.

ერთი შეხედვით „მაღალი ქუსლები“ დედა-შვილის კომპლექსურ ურთიერთობას მიყვება, სადაც დედა - ბეკი იმედებს უცრუებს თავის ქალიშვილს -

7 გვ.

6 გვ.

რებეკას და ფილმის გადასაღებად წასული 15 წელი არ ბრუნდება. ფილმის დასაწყისიდანვე, ჩანს როგორ არის შეპყრობილი რებეკა იმ იდეით, რომ დედისათვის საუკეთესო შვილი იყოს, მეორე მხრივ, გულის სიღრმეში სძულს იმისათვის, რისი გაკეთებაც ირიბად თუ პირდაპირ აიძულა. სიუჟეტის დასაწყისიდანვე ჩანს, პატარა რებეკა როგორ ცვლის ბეკის ქმრის წამლებს, რის შედეგადაც ის იღუპება. რებეკა ამას მხოლოდ იმისათვის აკეთებს, რომ დედამ შეძლოს წასვლა და ფილმში მონაწილეობა, არ იყოს მხოლოდ დიასახლისი, მხოლოდ დედა და მხოლოდ ცოლი. აქაც კარგად ჩანს ფემინისტური თანაგრძნობა, რომლითაც შვილი ათავისუფლებს თავის თავსაც და დედასაც. რებეკას შეპყრობილი დამოკიდებულება დედამისის მიმართ მთლიანი ფილმის განმავლობაში ირიბად ჩნდება - დასაწყისისას ის საყურეები უკეთია, რომელიც ბეკიმ ბავშვობაში უყიდა, იცვამს ბეკის მსგავსად, მათი მსგავსება კი ფერად, დიდ და ბრჭყვიალა საყურეებში კარგად ჩანს, მიჰყვება ცოლად ბეკის ყოფილ საყვარელს და საბოლოოდ - უყვარდება ლეტალი, რომელიც სწორედ რებეკას დედას ასახიერებს ვიაროსაში. ლეტალი თავადვე ამბობს, რომ ცდილობს მიბაძოს მის სტილსა და სულს. ეს ორი პერსონაჟი - რებეკა და ლეტალი სწორედ ბეკის შთაგონებით მოწამლულები მოქმედებენ, რითაც ისინი მკვლელობის საქმეში ეხვევიან.

ფილმის შინაარსობრივი მხარე პირდაპირ ემსახურება დედა-შვილური გრძნობების გამოსარჩლებას, აღდგენასა და პერსონაჟების კათარსისს. ალმოდოვარის ფემინიზმი ნათლად ჩანს იმაში, რომ ის თავის პერსონაჟებს ანიჭებს ხმას, პოპულარობას, არ ადარებს მამაკაცებს. ისინი ცხოვრობენ ალმოდოვარისეულ უტოპიაში, სადაც ყველა და ყველაფერი მაღალ ქუსლებზეა. ფილმში ფემინურობას დიდი ადგილი უჭირავს და ეს იკვეთება მის სტილში, კოსტიუმირებაში, ხმოვან ეფექტებში. მთლიანი ვიზუალი ფემინურობის მარწუხებშია მოქცეული, რაც მასში მოხვედრილ მასკულინობას უკუაგდებს. გაასმაგებულია ქუსლების რაკუნი იატაკზე, საყურეების წკარუნი, მუსიკა, პერსონაჟების კოსტიუმები ყოველთვის მკაფიოდ ჩანს ეკრანზე, დომინირებს წითელი ფერი, როგორც კოსტიუმირებაში ისე ინტერიერში. ეს ფერი გამოხატავს პერსონაჟების გაღიზიანებას და მხოლოდ მაღალ ქუსლებში არ გვხვდება, მას დიდი ადგილი უჭირავს ფილმში „ქალები ნერვული შეტევის პირას“.

პედრო ალმოდოვარი ცდილობს თავისი და ჯამში ქალების სამყარო შექმნას სტილით, ფერებით, მუსიკით, ხმებით, ვიზუალით, რომელიც ადამიანს შეგრძნებების ყველა დონეზე შეეხება. ალმოდოვარის ქალი პერსონაჟები ამ ფემინურ უტოპიაში თავს დაცულად გრძნობენ და თამამად გამოხატავენ თავიანთ ემოციებს - გაღიზიანება, წყენა, იმედგაცრუება, სინანული და ა.შ. ამ სამყაროში ტირილი, ისტერიკა და ცრემლები ისეთივე უბრალო მოვლენაა, როგორიც სიცილი. სამი გამოკვეთილი პერსონაჟი - ბეკი, რებეკა და ლეტალი სხვადასხვაგვარ ფემინურობას გამოხატავენ, რითაც მათ ინდივიდუალურობას ესმევა ხაზი. ალმოდოვარი თავის სამყაროში ერთნაირ პერსონაჟებს არ ათავსებს, ყველა განსხვავებული მოტივებით, მორალური ღირებულებებითა და ისტორიით არსებობს, თავის მხრივ, მათსავე სამყაროებში. თუკი შევაჯამებთ განხილულ ფილმებს, დავინახავთ, რომ ისინი ერთი ხელწერითაა შექმნილი, ამის მიუხედავად, ყველანაირად განსხვავდებიან მისი პერსონაჟები. მკვლელი ქალების ნარატივი, განხილული ფილმებიდან გამომდინარეც ცხადია, უხვადაა პედრო ალმოდოვარის შემოქმედებაში, თუმცა ყოველი პერსონაჟი სხვადასხვა მოტივითა და ხერხით ახერხებს ან ცდილობს ამას - გლორია ჯოხით კლავს ანტონიოს, პეპა ცდილობს მოწამლული გასპაჩოთი დააძინოს მოღალატე საყვარელი, ხოლო რებეკა მამინაცვალს აბებით კლავს, თავის ქმარს კი ცეცხლსასროლი იარაღით. ალმოდოვარი მკვლელობას როგორც ქალების თავდაცვისა და განთავისუფლების მექანიზმს ისე აღწერს, რაც მაყურებელში არ ბადებს გაღიზიანებასა და მორალურ წნეხს, არამედ ჩვენ გვეცოდება ისინი, გვეცოდება სწორედ კაცების გამო და ალმოდოვარიც მამაკაც პერსონაჟებს ყველანაირ გამაღიზიანებელ და საძულველ მახასიათებლებს ჩუქნის.

პედრო ალმოდოვარის „ქალთა კინოს“ რეალურობის განსჯა მხოლოდ ფემინისტური ნააზრევით შეუძლებელია, ის იბადება ფილმის ეკრანზე გამოსვლის შემდგომ, ხოლო ფემინურობა, რაც თითოეულ ფილმშია ჩადებული, თავიდანვე არსებობს, რეჟისორის იდეასა და ხედვაში. სწორედ ეს ხდის პედროს ფილმოგრაფიას ქალებზე მორგებულს, რომელიც ეწინააღმდეგება გენდერულ ნორმებს, ჰომოფობიურ, ტრანსფობიურ და ანტიფემინისტურ ნარატივს. რეალურად პედრო ალმოდოვარი ჰუმანისტია - ყველაზე ვულგარული გაგებით, ის თანამედროვე საზოგადოების ყველა ღირებულებას იზიარებს და თავის ობიექტივში ასახავს მათ - კომიკურობის, კიჩის, კემპის, სიურრეალიზმისა და ნეო-რეალიზმის ელემენტების შერწყმით.

მარიამ კაკალაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ინგლისური ფილოლოგია III კურსი

დროშა

ფარსი



ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი
იდიოტუსი
კრეტინუსი
მარტოკაცი
იდიოტუს უმცროსი
კრეტინუს უმცროსი

იდიოტუსი და კრეტინუსი ძალაუფლებისთვის იბრძვიან. მარტოკაცი მშიერ-მწყურვალი დაეხეტება. კრეტინუსი იდიოტუსს დუელში იწვევს, ვინც გაიმარჯვებს, ქვეყნის ოთხივ მხარეს ის დაეპატრონება.

სამიკიტნო. შემოდის კრეტინუსი.

კრეტინუსი: – აჰა, დახედეთ, როგორა თქვლეფს სალაფავს იგი, ვინაც არ იცის იმის გემო, რასაცა ყლაპავს.

იდიოტუსი: – დილაადრიან გუნებას რომ აგრე მიწამლავ, შენც ტიკივით ხარ, ლუკმების თვლით თავს რაღად იღლი?

კრეტინუსი: – მე იმისთვის ვჭამ, ჩემი თავი სხვას მოვახმარო. შენ კი ფოხანიც აღარ გეკვრის თუ თერძს არ უხმე.

იდიოტუსი: – ნუთუ არ იცი, დიდკაცებს რომ სამოსი შვენით ნაირ-ნაირი, მოკაზმული მაჯის სარჭებით. ჩემი ხვედრი ხომ ასეთია – რისთვის თერძს ვუხმობ. შენ კი ჩლაჩებით[1] დღენიადაგ დაიარები.

კრეტინუსი: – დიდხანს არ გასტანს ეგ სიამე, პირობას გიდებ. შენ, იდიოტუს, ჩემი სკამი დაისაკუთრე.

იდიოტუსი: – სკამი მისია, ვისაც ერგო ქვეყნის საუნჯე – ჩემს ყელზე ბრდღვინავს, ახლოს მოდი, თვალი შეავლე.

იდიოტუსი კრეტინუსს გადაღეღილ კისერს მიუშვერს, რომელსაც ყელსაბამი ამშვენებს. ყელსაბამი მფლობელს სამ სიკეთეს აძლევს: ზღვა ოქრო, მშვენიერი სახლ-კარი, ულევი სანოვაგე. კრეტინუსი შმაგდება.

კრეტინუსი: – მოდი, ეს საქმე ასე გადავჭრათ, ორივ შევებათ, ვინც მოერევა, ბატონობა მას ერგოს წილად.

იდიოტუსი: – ლაჩრებს არ ვებრძვი!

კრეტინუსი: – ეგ იმიტომ რომ მხდალი ხარ, იცი.

იდიოტუსი: – შენს თავს იცოდე კვერცხივით გავტეხ!

კრეტინუსი: – დღეს, ნაშუადღევს გელოდები კლდის ციცაბოზე, ის გადაჰყურებს ოკეანეს დაუსრულებელს. მოდი და ნახავ, მაგ გოგრა თავს როგორა გავსრეს!

იდიოტუსი: – აჰ, მემუქრები? აგრე იყოს! დღეს, ნაშუადღევს!

გადიან.

[1] ჩლაჩი – ძონძი, ჩლაჩებით – ძონძებით.

➤ 9 გვ.

8 გვ.

ციცაბო კლდე. შემოდის მარტოკაცი.

მარტოკაცი: – მთელი დილაა მშიერი ვგმინავ, სული დავღაფო იქნება მალე.
არავის ესმის ძახილი ჩემი, აღარც ძალა მაქვს ვიყეფო ასე.
ჩვენმა ბატონმა, როს სამიკიტნო გადაიტანა მისსავე კუჭში,
ძვლებიც კი აღარ გადმოგვიყარა, ძაღლური ყოფა გვამადლა რაკი.
როცა ვიყავი ყმაწვილი კაცი, ვერ ვიფიქრებდი ასეთ მწარე ხვედრს,
გადამავიწყდა ჩემი ხელობა და დამიბლაგვდა მარჯვენა მდარედ.
მაშინ ვფიქრობდი – შევირთავ ცოლად ქალს მშვენიერი თიხითა ნაძერწს,
ვიყოლიებდი შვილებს და ჭერი იხმაურებდა დილამდე – ცამდე!
ახლა კი, როცა გამიჭირდება, როცა სიცივე ძვალ-რბილში მატანს,
არავის ხელი მეალერსება, არავინ მკითხავს ვინა ვარ, რა ვარ.
შენ, ვინც მაღლიდან სიდინჯით გვიცქერ, შემოგავედრებ მე დახმარებას,
ნუთუ ჩაგრულთა დასაპურებლად ერთი ულუფაც არ გემეტება?
სანაცვლოდ ცხელი გულით ვილოცებ, ისე გადიდებ, როგორც არასდროს,
მაგრამ ვეჭვობ რომ გადაგავიწყდი და ჩემს გოდებას ყურს აღარ ათხოვ.
აქ ჩავესობი როგორაც სოკო, უწყლოდ, უპუროდ, მოუკითხავად,
მე ის მამშვიდებს, მინდვრისა რომ ვარ, და შხამი გულს რომ არა მიწამლავს.
აი, გამოჩნდა ჩვენი ბატონი, იდიოტუსი – ხარბი და წუწკი,
უკან ვინ მოსდევს? აჰ, კრეტინუსი, ისიც მისამებრ პირწავარდნილი.
სჯობს დავიმალო, ანდა დავრჩები, როდის იყო რომ მამჩნევდნენ დიდნი,
სანახაობა ვის არ გაართობს, როცა ყეყეჩნი ხვდებიან ყიფით.

კლდის წვერზე ერთმანეთს ხვდებიან იდიოტუსი და კრეტინუსი.

კრეტინუსი (თავისთვის): – იდიოტუსი აფრაკი კია, თუმც ძალა ერჩის მას ჩემზე მეტად. სჯობს ცბიერებით მოვქონო იგი, ვთხოვ რომ შემახოს თავის ყელსაბამს. უმალ მოვქაჩავ, მივისაკუთრებ, მერე თუნდ მდიოს კუბოს კარამდის, ქვეყანა მაინც ჩემი იქნება, აი, ეს არის სამართლიანი.

იდიოტუსი: – ბევრს ნუ ილაყბებ, უკანასკნელად, დაშნა აღმართე, ძალად მებრძოლო.

კრეტინუსი: – სად გეჩქარება? ისიამოვნე, ვრცელ ოკეანეს თვალი მოავლე. გახსოვს? როდესაც ბალღნი ვიყავით, ტალღებს ვაპობდით დაღამებამდე.

იდიოტუსი: – ეგ ადრე იყო, ნუ გაიხსენებ, მას, რაც მზაკვრობით გადაიფარა, ფეხის დადება შენ უკეთ იცი, ვიდრე ბავშვური სიწმინდის დამღა.

კრეტინუსი: – ერთი თხოვნა მაქვს, მხოლოდ შემახე, ყელის საბელით წამახალისე. მხნეობა მომეც, ვიყო მეტოქე – შენ რომ იკადრებ და მოისურვებ.

იდიოტუსი: – ზევსს დაგაფიცებ, ნუ გამაცინე, ნუღარა ავლენ უსუსურობას. მოდი, შეეხე, რომ მებრალები, *აი, სწორედაც მაგის დასტურად.*

კრეტინუსი კისრიდან მოწყვეტს ყელსაბამს, იდიოტუსი ერთი ბოლოდან დაიჭერს, კრეტინუსი მეორე ბოლოდან ექაჩება.

იდიოტუსი: – აჰ, გამაცურე? წყეულიმც იყავ, მახინჯო, გონჯო, მუდამ მეორე. ხელი გაუშვი, სანამ კბილები სულ სათითაოდ ამოგაცალე.

კრეტინუსი: – ბუზიყლაპია, ბრიყვების მეფევ, უკვე ჩემია, გიჯობს დანებდე.

იდიოტუსი: – თუ ხელს არ უშვებ – გადაეშვები, ოკეანის ფსკერს გადაეკვრები.

კრეტინუსი: – გადავეშვები? გადაგიყოლებ!

ყელსაბამი წყდება და იფანტება. იდიოტუსი და კრეტინუსი კლდიდან ოკეანეში ცვივდებიან.

მარტოკაცი ქვის ლოდიდან თავს გამოყოფს.

მარტოკაცი: – ეს რა ვიხილე? ნუთუ დასრულდა? ორი ბატონი გადაიჩეხა.
იცით? სულელი როგორაც ცხოვრობს,
ირჩევს დასასრულს ზუსტად ისეთსა.
ეს რა ბრდღვიალებს მზისებრ მიწაზე?
მგონი ბატონის ყელსაბამია.
წეღან რომ მაღლა ღმერთს შევჩიოდი,
ნუთუ ამიხდა ასე კეთილად?
მეშველა! ავკრეფ, სულს დავიამებ,
ცოლსაც შევირთავ, შვილებსაც დავზრდი!
სიხარულისგან გული მიფეთქავს,
მადლიერებას ზეცისკენ ვისვრი.
ახლა შემამჩნევს ავიც და კარგიც,
ნორჩი, დიდი თუ მოხუცნი – ყველა!
კაეშანს წულებს გადავაფარებ, გადავაფარებ
დასავიწყებლად.

შემოდიან იდიოტუს უმცროსი და კრეტინუს უმცროსი, შენიშნავენ მარტოკაცს.

იდიოტუს უმცროსი (მარტოკაცს): – ეი, ყეყეჩო, მამაჩემს ვეძებ, ქვეყნის ბატონი – გეცოდინება!

კრეტინუს უმცროსი: – და მამაჩემიც, ისიც ბატონი, თუმც არ უმართლებს დიდი ხანია.

იდიოტუს უმცროსი: – მანდ რა გიჭირავს, პასუხი მომეც, მე მივამსგავსე მამას ყელსაბამს!

კრეტინუს უმცროსი: – ზუსტად ეგ არის, ეგ სიკაშკაშე გადაანათებს ღამით ქვეყანას.

წაგლეჯენ მარტოკაცს ყელსაბამს.

10 გვ.

იდიოტუს უმცროსი: – ეს მშვენიერი გასაღები ქვეყნისა მართვის, აქამდე ჩემს ხელთ არ უპყრიათ, მხოლოდ თვალებსა.

კრეტინუს უმცროსი: – რა ნაწრთობ ხელით არის შექმნილი, ხედავ? მომეც, მოვიხდენ.

შენს მოკლე ყელს არ მოუხდება.

იდიოტუს უმცროსი: – ცარიელ თავთავს მიგამსგავსე ახლა რომ გიმზერ. განძი ჩემია! მემკვიდრე ვარ და გამეცალე.

კრეტინუს უმცროსი: – რა თავკერძა ხარ!

იწყებენ ხელჩართულ ჩხუბს. მარტოკაცი ძლივსძლივობით წამოდგება.

მარტოკაცი: – ეს ბატონები! როგორც ტკიპები, ისე გეკვრიან – გაიგუდები,

თუ მოშიმშილემ მიუკაკუნე, ჭლიკს ამოგკრავენ: „ვის რად სჭირდები?“.

როცა გგონია ერთი მოაშთე, უმალ მეორე აღმოცენდება,

ხოლო ბატონი როს გარდიცვლება, მისვე ვაჟებში გარდაიქმნება.

მამამ დაგაკლო? შვილი გიმატებს – ასეთი არის ქვეყნის კანონი.

დიდი ხანია ჩვენ დავივიწყეთ სიტყვა: სინდისი, სამართლიანი.

ვინმე თუ დღეს ხელს გამოგიწოდებს, ნუ გეგონება ამაგიანი,

ბატონებისთვის არსებობს ერთი – გამოშვერილი ანგარიანი.

ახლა მე წავალ, მინდვრის მარწყვს დავკრეფ, წასვლამდე მხოლოდ ერთ სიტყვას გეტყვით:

ბატონს და მის ყმას ერთი რამ ელით – ორივეს მიწის საბანის ხვედრი.

გადის. დ ა ს ა ს რ უ ლ ი.

ლალუკა იობაშვილი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
სახელოვნებო მეცნიერებების,
მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი
თეატრმცოდნეობის III კურსი

„მანდრაგორას“ ანალიზი

ნიკოლო მაკიაველი იყო ისტორიკოსი, მწერალი და კომედიოგრაფი. პიესა „მანდრაგორა“ დაახლოებით 1512 წელს დაწერა, რომლის კითხვის დაწყებისთანავე ჩანს მისი ფარსული საფუძველი, მოხუცი ქმარი, ახალგაზრდა ლამაზი ცოლი და მათ არ უჩნდებათ შვილი, რისთვისაც ძალღონეს არ იშურებენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომ შვილი ეყოლოთ. პიესაში მთავარი პერსონაჟები არიან კალიმაქო, მისი მსახური სირო, მესერე ნიჩა, ლიგურიო, ტიმოთეო (ბერი) და თვით ლუკრეცია – სწორედ ის უმშვენიერესი ახალგაზრდა ქალი, რომლის სილამაზემაც სრულიად ყველანაირი ზნე დააკარგვინა კალიმაქოს. ამ პიესაში ზუსტად ის მომენტია ასახული, როდესაც ნებისმიერ გარემოცვაში ადამიანები თავისი მიზნის მისაღწევად არაფერს იშურებენ. ამ შემთხვევაში ავტორს საკმაოდ საინტერესო პირები ჰყავს მოყვანილი მთავარ პერსონაჟებად და მთლიანი სიუჟეტი, თავის პერსონაჟებთან ერთად, თითქოს უკვე ნაცნობია ყველასთვის. თითოეულ მათგანს თავისი მიზანი აქვს მიუხედავად იმისა, თუ როგორ მიაღწევენ მას. ყველა დანიშნულ გეგმას მიყვება მაშინაც კი, თუ მისთვის ეს მიუღებელია. მთელი ამ ინტრიგის წამომწყები არის კალიმაქო, რომელმაც შეძლო დაეყოლიებინა თავისი მსახური სირო, თუმცა ეს ძნელი არ იქნებოდა, რადგან მსახური თავისი ბატონისთვის ყველაფერზე იყო წამსვლელი. თვითონ ეს პერსონაჟი ანუ კალიმაქო ალბათ არც ერთ მკითხველს არ მოეწონება, რადგან მან გააბრიყვა საცოდავი მოხუცი, რომელსაც უბრალოდ ძალიან უნდოდა შვილი. ლიგურიოს პერსონაჟი ყველაზე ნაკლებად იწვევს აღშფოთებას, რადგან მისი საქმიანობა სწორედ ეგ იყო – ასეთ მზაკვრულ გეგმებში მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ მონაწილეობა მიეღო და მთავარი როლიც კი მოერგო. ყველაზე მეტად მკითხველის გაკვირვებას იწვევს ბერი ტიმოთეო, რომელიც ასევე თავისი ინტერესებისთვის, მზად არის, გააბრიყვოს ადამიანი და სრულიად დაივიწყოს თავისი ნამდვილი სახე. ლუკრეცია კი, ასევე ბრიყვი ქმრის მსგავსად, საცოდავი პერსონაჟია, რომელსაც ქმარი არც თუ ისე უყვარს და თითქოს თავის გარეგან მშვენიერებას, სულის მშვენიერებაც უნდა მოჰყვებოდეს, თუმცა ესეც ამაოდ, მანაც გაწირა ქმარიც და პირველადი სურვილიც, შვილის ყოლა.

გარდა იმისა, რომ ამ პიესაში ბანალური, ფარსული სიუჟეტია, ისიც აშკარაა როდესაც ერთ სახელმწიფოში, გარკვეული უფლებამოსილი პირები არ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, სწორედ მაშინ ხდება ყველანაირი არეულობა დამოვალეობების დავიწყება.

თამარ დვალიშვილი
სახელოვნებო მეცნიერების, მედიისა და
მენეჯმენტის ფაკულტეტი
კინომცოდნეობის II კურსი

გამომცემლობა „კენტავრი“, აღმაშენებლის გამზ. 40; ტელ: 2 999 411 (240); www. tafu.edu.ge